PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ფრიდონ გოგიაშვილი

წევრები: ინგა ბაქრაძე

ირაკლი მანველიძე

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--------- ---------

--------- ---------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების დამატების მიზნით სსიპ განათლების ხარიხსის განვიტარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი (12.06.2020. №464260; №464529)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის“, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის №502071 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ფრიდონ გოგიაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, თავჯდომარე;
2. ინგა ბაქრაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, წევრი;
3. ირაკლი მანველიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, წევრი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დროულად მიეწოდა დაწესებულებების მიერ პროგრამის დამატებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია. ექსპერტა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი განხილვის შემდეგ შედგენილ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს და შეთანხმების შემდეგ დროულად მიეწოდა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 10 ივლისს.

ვიზიტის პირველ დღეს შედგა შეხვედრა სენაკის სასწავლო ბაზის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. იმავე დღეს გადამოწმდა პროგრამის ირგვლივ დაწესებულებაში არსებული ნორმატიული და მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

იმის გამო, რომ ვიზიტის განხორციელებისათვის საჭირო მასალები ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა ვიზიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯგუფს საშუალება მიეცა ვიზიტის ძირითადი დრო დაეთმო პროგრამის განხორციელების ადგილზე არსებული გარემოებების და იმ საკითხების შესწავლისათვის, რომელთა მიმართ ექსპერტებს წინასწარი განხილვის დროს გაუჩნდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურების და პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ დაწესებულებებში კომპეტენტურ პირებთან გასაუბრების დროს. პროგრამის განხორციელების ადგილზე მოხდა პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის და საბიბლიოთეკო ფონდის გადამოწმებაც.

ვიზიტის სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯამებულ იქნა ჩატარებული სამუშაოს შედეგები. დასკვნით შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფმა სენაკის სასწავლო ბაზის წარმომადგენლებს გააცნო ის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რომელიც აისახება საბოლოო დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2020 წლის 10 ივლისს.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

დაწესებულებაში წინა ვიზიტის დროს მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები კერძოედ, გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში დაემატა ხელშეკრულებები, სადაც დაფიქსირებული არის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა მარეგულირებელ წესებსა და დებულებებში გაწერილია სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა. ცეცხლმაქრების დამატების საკითხი გათვალისიწინებულია დასრულდეს მიმდინარე წლის განმავლობაში.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, კომპონენტის მითითებით გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომლებიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში. თუკი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისას გამოიკვეთა ავტორიზაციის რომელიმე სხვა სტანდარტის (არაპროგრამული) დარღვევის ფაქტი, გთხოვთ, აღწეროთ აქვე, კონკრეტული კომპონენტის მითითებით.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაციები:

1. სასურველია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ,,C” გარემოში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამონტაჟდეს ცეცხლმაქრი (2.4.1.6);

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--------- ---------

--------- ---------

PDF Eraser Free

2. სასურველია სწავლების ხარისხის ამაღლების და ეფექტური კომუნიკაციის განხორციელების მიზნით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის სასწავლო ბაზაზე მუდმივად იმყოფებოდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის № 34 დადგენილება

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____ _____

_____ _____

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სენაკი, მშვიდობის ქN192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60 პროფესიული სტუდენტი მოდულური მიდგომით
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eusoft Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

------ ---------

------ ---------

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების გადაწყვეტილება ეფუძნება დაწესებულების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას სსიპ-ი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება№20, 04.12.2018წ-,,სსიპ-ი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“

საგანმანათლებლო პროგრამაზე,,ფარმაცია“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელიც შეესაბამება აღნიშნული პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის მოთხოვნებს და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. დაშვების წინაპირობა გთვალისწინებულია სასწავლო გეგმაში.

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რაც შემდეგში მდგომარეობს:

სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, სათანადოდ პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და დაგეგმილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას;

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა _ განისაზღვრება ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შერჩეული ორგანიზაციების მიმართულება, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. არჩევითი

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

------ ---------

------ ---------

PDF Eraser Free

მოდული- „მზა წამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები'', ჩარჩო დოკუმენტით არის განსაზღვრული, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროგრამა დამტკიცებულია შოთა მესხიასზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 34 დადგენილებით „ 11 '' „ ივნისი " 2020 წელი და ხორციელდება მოდულური მიდგომით სსიპ-ი შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია" სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,ფარმაცია" შემუშავებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ) „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy" საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy.

კვალიფიკაციის კოდი-0916.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება;

მისი მოცულობა კრედიტებში: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 123 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 153 კრედიტია.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ისეთი კადრები, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი წარიმართა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიით, რომელიც სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესითაა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფსიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი-დამტკიცებულია სსიპ-ი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება№4, 18.01.2020წ.) განსაზღვრული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- (სსიპ-ი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება№54, 20.12.2018წ.- ,,სამწლიან სამოქმდო გეგმაში ცვლილების შეტანის და პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასამატებლად გასახორციელებელი აქტივობების გეგმაში ასახვის შესახებ“
- ,,შრომის ბაზრის კვლევა „ (სამეგრელოს რეგიონში პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა
- ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“
- შოთა მესხიასზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს # 34 დადგენილება „ 11 ‘’ „ ივნისი “ 2020 წელი
- პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩოდოკუმენტი ფარმაცია(სააფთიაქო)-(დამტკიცებული, №407/ი ბრძანებით. ცვლილება შევიდა 2020 წლის 19 თებერვლის № 213263 ბრძანებით)
- საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია“

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფსიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი-დამტკიცებულია სსიპ-ი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება№4, 18.01.2020წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, სათანადოდ პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და დაგეგმილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას;

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა _ განისაზღვრება ,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

,,ფარმაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა 60 (ორი ცვლის გათვალისწინებით, სამი მიღება, თითო ცვლაში 20-20 , ლაბორატორიული სამუშაოების დროს 10-10)

კერძოდ:

განხორციელების ადგილი: სენაკი, მშვიდობის ქ.№192 – აუდიტორია №302 ფართი 42 -მ2 №105. ფართი- 45 მ2. A/C გარემო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით,

C გარემო -აღჭურვილი შესაბამისად განთავსებული სასწავლო კორპუსში.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Erasar Free

მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 20-ერთ ცვლაში . ლაბორატორიული სამუშაოების დროს ჯგუფი გაიყოფა ორ ნაწილად. ფართი და ინვენტარი აკმაყოფილებს სტანდარტებს.

ვიზიტის დროს დათვალიერებით გადამოწმდა აუდიტორიების შესაბამისობა პროგრამასთან მიმართებაში. აუდიტორია N302- (A/C გარემო) 20 პროფესიულ სტუდენტზე, სადაც შექმნილია სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი მასალით; აუდიტორია 109-სადაც ჩატარდება მოდული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება"; დაეწესებულებას აქვს რამოდენიმე-(20-20 სტუდენტისთვის) შესაბამისად აღჭურვილი კოპიუტერული ოთახი, რომელთაგან ერთი დათმობილია ფარმაციისთვის; აუდიტორია 105 - C გარემო-ფარმაციის ლაბორატორია, 10 სტუდენტზე, რომელიც სრულად არის აღჭურვილი ქიმიურ -ტექნოლოგიური მოდულების შესაბამისად. აღინიშნა, რომ მოცემულ ლაბორატორიაში იგეგმება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ბიბლიოთეკარი" და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" ინტეგირირებული პროგრამების მოდულის -,,მეცნიერება და ტექნოლოგიის" ქიმიის ნაწილის განხორციელება, კვირაში კვირაში 8 საათი.ზემოღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებულია აღნიშნულ გარემოში პროფესიული პროგრამის შესაბამისი მოდულების ლაბორატორიური სამუშაოების შეფერხებით ან უხარისხოდ ჩატარების რისკის არ არსებობა.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შერჩეული ორგანიზაციების მიმართულება, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო უნივერსიტეტს: სენაკის ბაზაზე 15 პროფესიულ სტუდენტზე ჰყავს პროგრამის განმახორციელებელი 15პირი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილებით დამტკიცებულია უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი" სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი. მასწავლებლის საშტატო ერთეულზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების ან კონკურსის წესით. ზეპირი გასაუბრების წესით მოწვეული მასწავლებლის საშტატო ერთეულზე მოწვეული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების უმაღლესი აკადემიური განათლება ან/და IV და V დონესათან გათანაბრებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

პროფესიული განათლება ან/და შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. გასაუბრება ტარდება ზეპირი ფორმით, რომლის მიზანია სასწავლო უნივერსიეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შექმნილ/განახლებულ პედაგოგიური პერსონალის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან. მხედველობაში მიიღება პირის სამუშაო გამოცდილება. მოწვევა ფორმდება რექტორისადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტით. ამავე წესით განსაზღვრულია მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. მოდულის დაწყებამდე შეადგინოს კალენდარული გეგმა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები შედეგების დადასტურებამდე არაუგვიანეს 10 დღისა და ვალიდურობის დადგენის მიზნით შეათანხმოს დარგის სპეციალისტთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან. შეფასებებზე ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებს არაუგვიანეს 3 დღისა და შეფასებიდან 3 დღეში შედეგები.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები: მონაწილეობა მიიღოს პროგრამისა და თანდართული დოკუმენტების შემუშავებაში/მომზადებაში საავტორიზაციოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის მიზნით; განახორციელოს პროგრამის ფარგლებში მოდულების განმახორციელებელი პირების კონსულტაცია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების დროული შემუშავების მიზნით; მიიღოს მონაწილეობა შეფასების სისტემის (შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, უწყისები) ვერიფიკაციის პროცესში; იქონიოს მოდულების განმახორციელებლებთან პროფესიულ სტუდენტებთან მუდმივი კომუნიკაცია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით; გაუწიოს მონიტორინგი პრაქტიკის პროცესს, წარმოადგინოს რეკომენდაცია პროგრამის გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია (N01/04.01.2018) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიღება/მოწვევა ხდება ზეპირი გასაუბრების საფუძველზე და ფორმდება ადმინისტრაციული აქტით.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

------ ---------

------ ---------

PDF Eraser Free
ხელმძღვანელად შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების წესით უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ვიზიტის დროს გადამოწმებულ იქნა როგორც პროგრამის ხელმძღვანელის , ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ასევე მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე კოორდინაციას გაუწევს პრაქტიკის ობიექტებზე სტუტდენტთა სწავლებას. პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიურების დროს, როგორც დაწესებულების, ასევე პრატქტიკის ობიექტებზე, გამოიკვეთა მოდულური პროგრამების სწავლების და მიდგომების ცოდნა. ისინი რამოდენიმე წელია ჩართული არიან ,,ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამის განხორციელებაში. პრაქტიკის ობიექტებზე როგორც კერძო, ასევე შპს ,ავერსი ფარმას“ აფთიაქებში სტუდენტებს შესაბამის მოდულების პრაქტიკულ ნაწილს ასწავლიან აფთიაქის მენეჯერები და ფარმაცევტები. მათ უტარდებოდათ და მომავალშიც არის დაგეგემილი მასწავლებელთა ტრენინგები მოდულური სწავლების მიმარტულებით აღსანიშნავია, მათი დიდი ინტერესი, მოტივაცია და ჩართულობა ახალი პროგრამის ,,ფარმაცია“ განხორციელების მიმართ. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გა მომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ გადამოწმებულ იქნა იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ჩართული არიან პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განხორციელების პროცესში. დგინდება, რომ დატვირთვების განხორციელების დროს სასწავლო პროცესის განხორციელებას საფრთხე არ შეექმნება.

ვიზიტის დროს გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა, როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--------- ---------

--------- ---------

PDF Eraser Free

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დათვლილია 5 პროფესიულ სტუდენტზე და რომლის ხარჯვით ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა შრომის ანაზღაურება ; მასალა, ნედლეული, ინვენტარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დაწესებულების მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაN104
- ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან“, ხელშეკრულება N320702, ქიმიური ლაბორატორიის აღჭურვილობა ინვენტარის შეძენის განსაზღვრულ დაფინანსებაზე.
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2020 წლის 29 ივნისის N12 დადგენილებით დამტკიცებული
- უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი.
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--------- ---------

--------- ---------

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების“ მეთოდოლოგია/ წესი და „მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგის და შეფასების სისტემა/ შეფასების მეთოდოლოგია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობა და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროფესიული პროგრამების შეფასების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (აკადემიური საბჭოს 22.04.2020 წლის №25 დადგენილება). აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევების ჩატარებას. წესის მიზანია, სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი შიდა და გარე კვლევები, რომელთა შედეგების ანალიზი დაეხმარება მათ შემდგომი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო სტრუქტურას. სამსახურში წარმოდგენილი არის პროფესიული განათლების მიმართულებაც. თუმცა ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ სენაკის სასწავლო ბაზას ცალკე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არ ჰყავს და ამ მიმართულებით საჭირო საკითხების რეგულება ხდება ზუგდიდში განთავსებული ოფისიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. პროფესიული განათლების მიმართულებით სამსახურში არის ერთი საშტატო ერთეული და პირი რომელიც იკავებს აღნიშნულ პოზიციას, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან ერთად ახდენს პროფესიული პროგრამების დანერგვის, განხორციელების, მხარდამჭერის და კონსულტირების საერთო კოორდინაციას. მათ მიერ ხორციელდება აქტივობები, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილების კვლევას როგორც გამოკითხვის, ასევე ფოკუს-ჯგუფების და ინტერვიურების მეთოდით.

სსიპ შოთა მესიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის სასწავლო ბაზაზე სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უფრო სრულყოფილად და ეფექტურად გამოყენების მიზნით საჭიროა მეტი კოორდინირებული ქმედებები სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან. ამ მიზნით სასურველია სენაკის სასწავლო ბაზაზე მუდმივად იმყოფებოდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის პასუხისმგებელი პირი. მით უმეტეს ეს საჭიროა გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ ბაზაზე დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარდა ხორცილდება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პროფესიული პროგრამები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

------ ---------

------ ---------

PDF Eraser Free

- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 20.04.2018წ №14დადგენილება;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 22.04.2020წ №25 დადგენილება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 10.09.2019წ №46 დადგენილება;
- ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და უნივერსიყეყის ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა ,,ფარმაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების გეგმა შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით, ხანგრძლივობა 3 წელი. (პირველი სასწავლო წელი/26 კვირა ძირითადი, 4 კვირა დამატებითი; მეორე სასწავლო წელი/36 კვირა ძირითადი, 2 კვირა დამატებითი; პირველი სასწავლო წელი/16 კვირა ძირითადი, 1 კვირა დამატებითი) დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

სსიპ-ი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

1. [redacted]-ხელშეკრულება- 2/3 25.05.2020 წელი, ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 5 წლის ვადით.
2. შპს აფთიაქი,,პანაცეა“ - ხელშეკრულება- 2/4 25.05.2020 წელი, ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 5 წლის ვადით.
3. შ.პ.ს. აფთიაქი ,,იბერიაფარმა+“ ხელშეკრულება N2/1 25.05. 2020 წელი.10 სტუდენტი 5 წლის ვადით.
4. შ.პ.ს. ,,ავერსი-ფარმა“-მემორანდუმი

ხელშეკრულებები იდენტურია და ითვალისწინებს შესაბამის ვალდებულებებს ორივე მხრიდან. რის თანახმად ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს-,,პრაქტიკის ობიექტის პროფესიული პროგრამის 5 სტუდენტისათვის მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

სწავლის შეფასების იმ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება და შეფასება, რომელიც განსაზღვრულია სასწავლო გეგმით მთელი პროფესიული პროგრამის განმავლობაში.“ აფთიაქი სტუდენტზე გამოჰყოფს მინიმუმ ერთ შესაბამისი კვალიფიკაციის პირს; აფთიაქმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო სასაწავლო და სამუშაო გარემოდა სხვ.

ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები:

დანართი N 1- ში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე გაივლიან 8 პროფესიულ/ დარგობრივ მოდულს.

1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების,გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა
2. მცირე შეფუთვებად მზა წამლისფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება
3. პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება
4. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში
5. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა
6. მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა
7. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა
8. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა

დანართში ასევე შეტანილია ის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც სასწავლო მიზნებისათვის უზრუნველყოფილი/ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შექმნილია უსაფრტხო გარემო. თუმცა სახანძრო უსაფრთხოების კუთხით საჭიროა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო C გარემოში განთავსდეს ცეცხლმაქრი, რეკომენდაცია ცეცხლმაქრზე.

შპს,,ავერსი-ფარმა“ -გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 20 მაისი 2020წელი.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

PDF Eraser Free

ურთიერთთანამშრომლობის მიზანი: მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს,,ავერსი-ფარმა“ს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების საჭიროებაზე ორიენტირებულ განათლების განხორციელებას.

აღნიშნული გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ფარმაციის საბაკალავრო და ,,ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები სხვა ვალდებულებები მემორანდუმის თანახმად სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ოდენობა, პრაქტიკის ვადები და სხვა პირობები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთ ურთიერთთანხმობის/ხელშეკრულების საფუძველზე.

მემორანდუმში არ არის აღნიშნული სტუდენტთა ზუსტი რაოდენობა, რომელსაც შ.პ.ს. ავერსი ფარმა“ს წარმომადგენელთან გასაუბრებისას, რომელიც ამავდროულად არის პროგრამის ხელმძღვანელი, გაირკვა ,რომ შ.პ.ს. ავერსი ფარმა“ სამეგრელოს რეგიონში მოიცავს 12 აფთიაქს, რომელთგან 6 ზუგდიდში, ხოლო 4 სენაკში მდებარეობს. ასევე შ.პ.ს. ავერსი ფარმა“ მზაობას გამოხატავს მის აფთიაქებში (თითოეულში) მიიღოს და ასწავლოს მაქსიმუმ 4 სტუდენტი.

ქიმიურ ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სასწავლო ლაბორატორიაში ქცევის და უსაფრთხოების წესები, მაგრამ არ იყო ცეცხლმაქრი. ვინაიდან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულება გაწერილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ფარმაციის მე5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული მოდულები;

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

----

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტი დაწესებულების მიერ არის შეფასებული „მეტწილად“. აღნიშნული შეფასების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია შოტა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმები(აკადემიური საბჭოს №34 დადგენილება 11.06.2020წ). გაწერილია იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები. შეფასება „მეტწილად“ გამომდინარეობს იქედან, რომ დაწესებულების რეგულაცია და ვერიფიკაციის მექანიზმები არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს.

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. მტკიცებულებების დაცვა უზრუნველყოფილია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შემდეგ ექვემდებარება განადგურებას. მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ ყოველი შეფასების შემდეგ მოხდება მიღებული შეფასების ანალიზი და შედეგები გამოყენებული იქნება სწავლების ხარიხის შემდეგი გაუმჯობესების მიზნით.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიური საბჭოს №34 დადგენილება (11.06.2020წ)

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი

1. ვიზიტის დღის წესრიგი;
2. სენაკის სასწავლო ბაზის ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის საშტატო განრიგი - 2გვ;
3. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები - 3გვ;
4. ბრძანება ინკლუზიური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტად მოწვევის შესახებ - 2გვ;
5. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები - 9გვ;

24.07.2020წ

თარიღი

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------

--- ---

--- ---